KA030192737390619

№ 01-7065 **15 / ივლისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

წამოგიდგენთ „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა და „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მთავრობის დადგენილების პროექტებს.
"სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებული იქნა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სათემო ორგანიზაციების მომსახურების შესწავლის შედეგად სამინისტროსადმი გაწერილი რეკომენდაციიბის საფუძველზე, კერძოდ: „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში - სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარებისთვის) ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 1.3-ით განსაზღვრული გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია და გადაუდებელი მდგომარეობებ) გაწევისას სტაციონარული მომსახურება ანაზღაურდება სრულად. ამავდროულად, ამავე პერიოდში იმავე ბენეფიციარის სათემო ოგანიზაციის მომსახურების დაფინანსება ხორციელდება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის № 22 დადგენილების განსაზღვრული წესითა და პირობებით. გამომდინარე აქედან, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ „სამედიცინო აუცილებლობით გამოწვეული ჩარევა“ - სტაციონარში არ მოიცავს პაციენტის უზრუნველყოფას კვებით (საკვები პროდუქტებით) და ჰიგიენური საშუალებებით (რაც უნდა განხორციელდეს სათემო ორგანიზაციის მომსახურებიდან), მიზანშეწონილად ჩაითვალა, სათემო ორგანიზაციიდან ბენეფიციარისთვის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია და გადაუდებელი მდგომარეობები) ან პალიატიური სამედიცინო მომსახურების გაწევისას განისაზღვრა გონივრული ვადა და ბენეფიციარის სტაციონარში 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხანგრძლივობით დაყოვნების შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციის დაფინანსებას სააგენტო უზრუნველყოფს დღეში 50%-ით. ამასთან, პროექტით განსაზღვრულია სათემო ორგანიზაციაში მომსახურების მიღების შესახებ და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში მომსახურების მიღების შესახებ ხელშეკრულებების დამტკიცება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ მომსახურებებში ერთნაირი მიდგომის დამკვიდრებას. ხელშეკრულებები შეთანხმებულია მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციებთან.
„სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით მოქმედი დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „ზ“ პუნქტში სხვადსხვა კატეგორიის ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენლებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარის შემთხვევაში დაემატა მხარდამჭერი.
პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგენილების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტიდან თანადაფინანსების კუთვნილი წილის გადამხდელ პირთა წრიდან ამოღებული იქნა მინდობით აღმზრდელი, რადგან მინდობით აღზრდაში მყოფი არასრულწლოვანი ბენეფიციარი სხვა მომსახურებით (დღის ცენტრი) სარგებლობის შემთხვევაში, იმყოფება სრულ დაფინანსებაზე.
პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მომზადება განპირობებული იქნა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სათემო ორგანიზაციების მომსახურების შესწავლის შედეგად სამინისტროსადმი გაწერილი რეკომენდაციიბის საფუძველზე, კერძოდ:
„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-2

პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოსარგებლეებისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში - სათემო ორგანიზაციების ბენეფიციარებისთვის) ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართი № 1.3-ით განსაზღვრული გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია და გადაუდებელი მდგომარეობებ) გაწევისას სტაციონარული მომსახურება ანაზღაურდება სრულად. ამავდროულად, ამავე პერიოდში იმავე ბენეფიციარის სათემო ოგანიზაციის მომსახურების დაფინანსება ხორციელდება წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული წესითა და პირობებით. გამომდინარე აქედან, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ „სამედიცინო აუცილებლობით გამოწვეული ჩარევა“ - სტაციონარში არ მოიცავს პაციენტის უზრუნველყოფას კვებით (საკვები პროდუქტებით) და ჰიგიენური საშუალებებით (რაც უნდა განხორციელდეს სათემო ორგანიზაციის მომსახურებიდან), მიზანშეწონილად ჩაითვალა, სათემო ორგანიზაციიდან ბენეფიციარისთვის გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია და გადაუდებელი მდგომარეობები) ან პალიატიური სამედიცინო მომსახურების გაწევისას განისაზღვრა გონივრული ვადა და ბენეფიციარის სტაციონარში 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხანგრძლივობით დაყოვნების შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციის დაფინანსებას სააგენტო უზრუნველყოფს დღეში 50%-ით (სათემო ორგანიზაციის ბენეფიციარისთვის - 10 ლარით, სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ბენეფიციარისთვის – დღეში 15 ლარის ოდენობით) ბენეფიციარის სტაციონარში დაყოვნების დროით. ამასთან, ამ დროის განმავლობაში ბენეფიციარს სათემო ორგანიზაციის მომსახურების ამავე დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ პუნქტებით განსაზღვრული დაფინანსება/ თანადაფინანსების გადახდის ვალდებულება არ ექნება.
წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ჩასწორდა არსებული ხარვეზი და ჩანაწერი - „რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)“, რომელიც იკითხებოდა როგორც პანსიონატის ფორმის განმარტება, წინადადების სინტაქსურად გამართვის შემდეგ აღნიშნული განმარტება მართებულად მიეკუთვნა სათემო ორგანიზაციებს.
აქვე, „გ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციებში მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მოთავსებული ბენეფიციარებისთვის გაწეული მომსახურების დაფინანსების წესი: შშმ პირთა პანსიონატში – დღეში 16 ლარის ოდენობით, სათემო ორგანიზაციაში – დღეში 20 ლარის ოდენობით, სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის კომპონენტის ბენეფიციარებს – დღეში 30 ლარის ოდენობით. ამასთანავე, „დ“ ქვეპუნქტში დაკონკრეტდა ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატში ბენეფიციარების მხრიდან მომსახურებისთვის გადასახდელი თანხის ოდენობაც.
ამასთან, მოგახსენებთ. რომ პროექტები შეთანხმებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ბრძანებისა და მთავრობის დადგენილების დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

თამილა ბარკალაია